ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2838960

ნომერი: AR1439075

თარიღი : 09.09.2016

გაცემის თარიღი : 16.09.2016

გაცნობის თარიღი : 19.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 25 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანზორ სხირტლაძე პ/ნ 01005007961
- თბილისი წყალტუბოს ქ. N 3 ბ. 33

ორგანიზაცია:
- შპს ჯორჯია დეველოპმენტ გრუპ 1 კოდი: 404897741

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 23/06/2015წ. №1925162 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 09/09/2016წ. №AR1439075 განაცხადით მომართა შ.პ.ს. „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ 1-ის“ დირექტორმა ანზორ სხირტლაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 23/06/2015წ. №1925162 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 23/06/2015წ. №1925162 ბრძანებით ქ. თბილისში, ონიაშვილის ქ. №25-ში / ქ. თბილისში, ონიაშვილის ქ. №27-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.10.12.038.031) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 23 ივნისიდან 2017 წლის 23 ივნისის ჩათვლით. აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში - №1925162 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა ი.მ.ა „მედიპა.“

წარმოდგენილი განაცხადით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 23/06/2015წ. №1925162 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება და დამკვეთად შ.პ.ს. „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ 1-ის“ დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

დღეისათვის, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N882016225491; მომზ. თარიღ: 13/04/2016 15:09:56) მიხედვით, ქ. თბილისი, ქუჩა ონიაშვილი №25 / ქ. თბილისი, ქუჩა ონიაშვილი №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: N01.10.12.038.031) მესაკუთრეს წარმოადგენს შ.პ.ს. „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ 1“ (ს/კ.: 404897741). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, (განაცხ.№B16081010, მომზ. თარიღ: 23/05/2016 16:48:50) შ.პ.ს. „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ 1-ის“ ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი არის ანზორ სხირტლაძე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, დღეისათვის, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შ.პ.ს. „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ 1-ის“ საკუთრებას, რომლის ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირიც სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და დამკვეთად ი.მ.ა. „მედიპას“ ნაცვლად შ.პ.ს. „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ 1-ის“ დაფიქსირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57–ე დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 23/06/2015წ. №1925162 ბრძანებაში და დამკვეთად ი.მ.ა „მედიპას“ ნაცვლად დაფიქსირდეს შ.პ.ს. „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ 1“ (ს/კ.: 404897741). სამსახურის 23/06/2015წ. №1925162 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 23/06/2015წ. №1925162 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.